



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikhia,

E-mail. admin@tsalenjikhia-Sakrebulo.ge; www. tsalenjikhia-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 ნოემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 51

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე წარმოდგენილი შენიშვნები და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნასთან და საკრებულოს ფრაქციების შენიშვნებთან და წინადადებებთან ერთად დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი რეაგირებისთვის.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ავთანდილ გაბელია

